

ახალი თაობა



ღირს თუ არა სსსსის ლარში გადაყვანა?



ეროვნული ბანკი: „ველოდებით ლარის გაუფასურების შეჩერებას“

2 ლეკიბერიძე

ტომას ჰარისი


ქრავთა ლეილი

ფანი

ბაზათიანი

ერთად

14 ლარი



პარასკევი, 2 დეკემბერი, 2016

№286 (7211)

ფასი: 50 თეთრი

„ქურის აქციაზე გარდაუვალი“



გვ.4

ლადო სადღობელაშვილი: „კვირიკაშვილს ბანკები და დეპუტატები აშანტაჟებენ“



„მთელი ქვეყანა ბანკების ტყვეობაში“

სსსსის გალარების პროგრამა 2017 წლის 1 იანვრიდან დაიწყება და 2 თვე გაგრძელდება



გვ.6



გვ.2

დეპუტატები ბანკების საქმიანობის შესწავლას ითხოვენ



გვ.3

მამუკა ბაგრატიანი: „გიბა ბოქარიას პოზიცია კალიან არ მოეწონა“



„მუდამ კაბინეტში რომ ზინარ, ხავსი გეკიდება“

იბალიაში 26 წლის ქართველი ახალგაზრდა გარდასვლილი იპოვეს



გვ.7

ვასილანოვი: „ქვეყნი მუშაობა, რომ „ქართული ოცნება“ გაქორთვებული სისტემის გაუმჯობესება ნაწილად“



გვ.3

ვლადიმერ პაპავა: „მე რატომ უნდა გადავიხადო იმეთი გადასახდელი, ვინც სხლი აიძვანა!“



გვ.2



გვ.5

ეროვნული ბანკის განცხადება უპასუხისმგებლოა“
ლევან ბიორხელიძე: „ყველა ოპერაცია ლარში უნდა სრულდებოდეს“



გვ.5

ხაჯიმბას გადადგომისთვის ვადა მისცეს





დედურ გიორხელიძე: „ყველა ოპერასია ღარში უნდა სრულდებოდეს“

ნათია ხურცილავა

„ეროვნული ბანკის განცხადება უპასუხისმგებლოა“

ეკონომიკის ექსპერტი დედურ გიორხელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ მდგომარეობაზე საუბრობს.

– ბატონო დედურ, ეროვნულმა ბანკმა განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია: „ველოდებით გაუფასურების შეჩერებას და კურსის უმოკლეს დროში უკუქცევას, ამჟამად ბაზარზე არსებული გაცვლითი კურსი გადასცდა იმ ნიშნულს, რომელსაც ფუნდამენტური ფაქტორები განაპირობებს“. როგორ შეაფასებთ ეროვნული ბანკის პოზიციას?

– ასეთი განცხადება შეიძლება ევატიოს ძალიან დილექტანტ, დაბალი დონის ე.წ. ექსპერტს, რომელიც სახელისუფლებო ფრთაზე მოიარბება და რომელსაც არავითარი საერთო არ აქვს პროფესიონალიზმთან. პროფესიული, ურთულესი და ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი ორგანო, მისი ხელმძღვანელი არ შეიძლება, ასეთ განცხადებებს აკეთებდეს.

ასეთი განცხადებები ნიშნავს იმას, რომ ეროვნული ბანკი ვერ გრძნობს შექმნილ სიტუაციაში უპასუხისმგებლობას, ან ეს ყველაფერი კარგად დაგეგმილი პროცესია, რომელიც ძალიან შეძლებული ფინანსური ჯგუფები საქართველოში ძალიან სერიოზულ ფულს იშოვიან, შემდეგ კი, ქვეყანაში მდგომარეობა მთლად რეველუციამდე რომ არ მიიყვანონ, გარკვეული

დროით შეჩერდებიან, სანამ ეროვნული ბანკი მომავალი პროვოკაციისთვის სიგნალს არ მისცემს.

ეროვნული ბანკის ეს განცხადება უპასუხისმგებლოა. ჩვენ ან პროფესიულ შემდგომბასთან გვაქვს საქმე, ან ეს არის კარგად დაგეგმილი, ძალიან სერიოზული აფერა. ნებისა, ხელისუფლებას ვაფრთხილებ, რომ ყველაფერი სწორედ ასე მოხდებოდა.

– რა შეიძლება იყოს გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან? რამდენიმე ინიციატივა უკვე გაახმოვანა პრემიერმა. მათ როგორ აფასებთ?

– ის ინიციატივები, რომლებიც აქამდე მოვისმინეთ, არ არის საკმარისი, ვინაიდან ლარის გამყარებისა და სტაბილიზაციის გარეშე ქვეყანაში ეკონომიკა ვერანაირად განვითარდება. ქვეყანაში სავალუტო კრიზისია. ეროვნული ვალუტა არ გვეოფნის და სწორედ აქედან მომდინარეობს დღეს არსებული ვითარება.

– ლარიზაციასთან დაკავშირებით სკეპტიკურად ხართ განწყობილი თუ, პირიქით, აქამდეც უნდა გადადგმულიყო ამ მიმართულებით ნაბიჯები?

– ლარიზაციასთან დაკავშირებით არა-ნაირად არ ვარ სკეპტიკურად განწყობილი.



ვინც დედოღარიზაციის, ანუ ლარიზაციის მიმართ სკეპტიკურად არის განწყობილი, ის საქმიანი ადამიანი არ არის ამ სფეროში და, უბრალოდ, ვიღაცის მსახური.

სახელმწიფოში ლარი, ანუ ეროვნული ვალუტა ერთადერთი გადამხდელი ვალუტა უნდა იყოს. ქვეყნის შიგნით ყველა ოპერაცია ეროვნულ ვალუტაში უნდა სრულდებოდეს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ რამე შეზღუდვა გექმნებათ უცხოურ ვალუტაში, მაგალითად, დოლარში გქონდეთ ანგარიშები ან რამე სახის საგარეო ოპერაცია განახორციელოთ, ან, ქვეყნის გარეთ თუ წახვალთ, რამე შეფერხება გექმნებათ გადახურდაცვაში და ა.შ. ეს ყველაფერი უზრუნველყოფილი უნდა იყოს. აქ საუბარია წესრიგზე, იმ წესებზე, რომლებითაც მთელ ქვეყანაში მოქმედებს ეროვნული ვალუტა ყველა დონის ოპერაციაში და არა უცხოური ვალუტა, მაგალითად, დოლარი, როგორც აქამდეც.

– მსხვილი გარიგებების დროს.

საჯიბას გადაღობვისთვის ვადა მისცას



მარიამ მჭედლიშვილი



აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის ლიდერი რაულ ხაჯიბა მოსკოვში ჩავიდა. მანამდე, ერთი დღით ადრე, მას აფხაზეთის ოპოზიციამ სიურპრიზი მოუწყო და მისი გადადგომა მოითხოვა. ოპონენტებმა დაარღვიეს სიმშვიდე, რომელიც აფხაზეთის ჩაშლილი რეჟერენდუმის შემდეგ დამყარდა.

– თუ რაულ ხაჯიბა არ გადადგა, 15 დეკემბერს სახალხო შეკრებას გავმართავთ, – ასეთი განცხადებით მიიღო პარტია ამცახარას მუშეიდე ყრილობამ, რომელსაც ოპოზიციურ ძალთა ბლოკიც ესწრებოდა.

ოპოზიციური ყრილობის პარალელურად, სოხუმში მიმდინარეობდა ხაჯიბას მხარდამჭერთა მიტინგი.

ამცახარას ლიდერ ალხას კვიცინიას განმარტებით, ხაჯიბას გადადგომა აუცილებელია იმისთვის, რომ აფხაზეთში სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ნგრევა შეჩერდეს.

– ძალიან უხეში შეცდომების კომპლექსი, რომელსაც ჩვენ კატასტროფულს ვუწოდებთ, მოითხოვს ხელისუფლების შეცვლას. თუ ხაჯიბას რეჟიმი 2019 წლამდე გასტანს, ეს პროცესები გამოუსწორებელი გახდება, – განაცხადა ამცახარას ლიდერმა.

საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ქალები პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ირინა აგრბამ ხაჯიბას მხარდამჭერი აქცია გააპროტესტა:

– გაუგებარია, რატომ იმყოფებიან ჩინოსნები მიტინგზე და არა სამსახურში? ხაჯიბა ეძებს მხარდამჭერს იმათში, ვინც მას შთააგონა სახელმწიფო გადატრიალება 2014 წელს.

ყრილობის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ ხელისუფლებას ხელს აძლევს საზოგადოების დაყოფა, რასაც ის თავის სასარგებლოდ იყენებს, უხუცესთა საბჭოში კი ხაჯიბას ოდიოზური მომხრეები არიან გაერთიანებული.

ირინა აგრბას შეფასებით, ხაჯიბას რეჟიმმა დაამკვიდრა კლანური მმართველობა, სიბნელე, თავაშეუხეობა და საგადასახადო წნეხი. ხელისუფლება ვერ აგვარებს სოციალურ პრობლემებს.

საზოგადოებრივი ორგანიზაციის „კიარაზას“ ხელმძღვანელმა დიმიტრი დბარმა ხაჯიბას გაუხსენა დაპირება ენგურზე საზღვრის ჩაკეტვის შესახებ. მისი თქმით, ეს საზღვარი არათუ ჩაკეტული არ არის, არამედ, ნორმალურად ვერ კონტროლდება, რაც საფრთხის შემცველია.

– ორივე მხრიდან მდინარე ენგურზე გადასულ-გადმოსულთა რიცხვი 2015 წელს შეადგენდა 441.509 კაცს, 2016 წლის სამი კვარტლის განმავლობაში კი – 566.816 ადამიანს. სახელმწიფო უშიშროების სამსახური ვერ უზრუნველყოფს ქვეყნისა და მოქალაქეების უსაფრთხოებას, – აცხადებს დბარი.

ყრილობამ მიმართა ხაჯიბას, ნებაყოფლობით გადადგეს, ვინაიდან ის ვერ უზრუნველყოფს ეროვნულ თანხმობასა და აფხაზეთის განვითარებას. შეკრებილებმა პარლამენტს მოუწოდეს, დანიშნოს ვადამდელი სამრეზიდენტო არჩევნები.

– თუ ხაჯიბა ყურად არ იღებს ჩვენს მოწოდებას და არ მიიღებს გადაწყვეტილებას გადადგომაზე, 15 დეკემბერს სახალხო ყრილობას მოვიწვევთ, – ნათქვამია ყრილობის რეზოლუციაში.

ოპოზიციის მოთხოვნას რაულ ხაჯიბა თავისი მომხრეების მიერ გამართულ მიტინგზევე გამოეხმაურა.

– სახელმწიფოს მეთაურს ხალხი ირჩევს. თუ მთელი ხალხი გადაწყვეტს, რომ წავიდე, მაშინ წავალ, – აღნიშნა მან.

ხაჯიბა საზოგადოების გულის მოგებას გაზრდილი ბიუჯეტის პერსპექტივით შეეცადა:

– სამ წელიწადში საკუთრივ აფხაზეთის ბიუჯეტი 8 მილიარდ რუბლამდე გაიზარდება. რუსეთმა გვადიარა და ის თავის გადაწყვეტილებას არ შეცვლის, მაგრამ, ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ ნამდვილად სუვერენული სახელმწიფო ვართ.

დეპუტატ თემურ გულიას თქმით, ოპოზიცია ხაჯიბას საწინააღმდეგოდ ვერაფერს წარმოადგენს, ვინაიდან მას არც კონსტიტუცია დაურღვევია და არც – რომელიმე კანონი.

პირველად საპარტნიორო!

ერთ პროფესიონალურ ქსელში გაერთიანებული საუკეთესო ექსპერტები

www.gpn.ge

კომპანია „ჯი პი ენ“ მოხმარებლებს განსხვავებულ ინტელექტუალურ სერვისს სთავაზობს

(GBC) – კომპანია „ჯი პი ენ“, რომელიც სულ ახლახან გამოჩნდა ქართულ ბაზარზე, ქართველ და უცხოელ მომხმარებლებს ინტელექტუალურ სერვისს განსხვავებული კონცეფციით გაუწევს.

მენეჯმენტის ცნობით, კომპანია თავისი მონაცემთა ბაზიდან კონკრეტულ მოთხოვნებზე მორგებულ, კონკრეტული სპეციფიკის მიხედვით შერჩეულ კვალიფიციური ექსპერტის ან ექსპერტთა ჯგუფის სერვისს სთავაზობს მომხმარებელს.

– ეს იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას, კლიენტმა უფრო მაღალი ხარისხის, ზუსტად ამ სპეციფიკურ მიმართულებაში გამოცდილი ექსპერტების მომსახურება მიიღოს და მათი ცოდნა და გამოცდილება საკუთარი ბიზნესამოცანების გადასაწყვეტად გამოიყენოს, – აცხადებენ კომპანიაში.

„ჯი პი ენ“ აერთიანებს 200-ზე მეტ სხვადასხვა სფეროს ექსპერტს, რომლებიც სხვადასხვა კომპანიასა და ორგანიზაციაში მუშაობენ და თავიანთი დარგის გამორჩეული სპეციალისტები არიან.

კომპანიის პორტფოლიო მოიცავს როგორც საკონსულტაციო მომსახურებას, ასევე პროექტების მართვას სხვადასხვა მიმართულებით – სამართლებრივი, საფინანსო, ინფორმაციული ტექნოლოგიების, ადამიანური რესურსების მართვისა და მარკეტინგის სფეროში.

– საკონსულტაციო მომსახურების ახალი კონცეფცია – ერთ პროფესიონალურ ქსელში გაერთიანებული საუკეთესო ექსპერტების სახით ახლებური მიდგომა ქართული ბაზრისთვის, რომელიც, მაღალი ხარისხის მომსახურების გარდა, გულისხმობს კომფორტულ მომსახურებას ერთ სივრცეში, – აცხადებენ „ჯი პი ენ“-ში.



პროგრამა

პასხეუვი 2 დეკემბერი

ქართული რეჟისორის სპექტაკლი ბარსელონაში გათამაშდება

„ბლევი“ – ასე ეწოდება სპექტაკლს, რომელსაც მკაცრ-რეზელ ქართველი რეჟისორი ლუკა ჩხაიძე ბარსელონაში თეატრ რაიში 16 დეკემბერს წარმოადგენს.

სპექტაკლი დადგმულია პანტომიმის სახელმწიფო თეატრში 2005 წელს.

ლუკა 17 წლის განმავლობაში თეატრის მასხიობი იყო, მაგრამ ყოველთვის იზიდავდა რეჟისურა. მას არაერთი საინტერესო სპექტაკლი აქვს დადგმული პანტომიმის თეატრში, მათ შორის „ლუარსაბი“, რომელიც 3 დეკემბერს იქნება წარმოდგენილი.



მან მაქსიმალურად შეინახა შალიკაშვილის სტილი და დღეს ბარსელონაში მოღვაწეობს. ის დღესაც აქტიურად არის ჩართული ქართული პანტომიმის თეატრის განვითარებასა და წინსვლაში.

2017 წელს იგეგმება პანტომიმის თეატრის მოგზაურო-

ბა ესპანეთში, რომელიც ლუკა ჩხაიძესთან ერთად გამართავს არაერთ საინტერესო ქართულ სპექტაკლს, ასევე იგეგმება ქართული პანტომიმის, შალიკაშვილის სტილის პანტომიმის მასტერკლასები.

მოამზადა ეკა ირემაშვილი

მოჭინის წინააღმდეგ გიორგის სახელობის ეკლესიის ფასადზე ხანძარი გაჩნდა

ახოსპირელის ქუჩაზე მდებარე მოჭინის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ფასადზე ხანძარი გაჩნდა. დამწვარია ეკლესიის კარი.

საჭიროა, მოიხსნას კარზე მიდგმული რკინის ვაგონი, რომელიც ხელს უშლის სამუშაოების წარმოებას. უნდა გაკეთდეს კარის ანაზოში და შეგროვდეს ხანძრისგან გადარჩენილი კარის დეტალები, რის შემდეგაც ანაზომებისა და გადარჩენილი დეტალების მეშვეობით ახალი, ძველი კარის ანალოგიური დამზადდება.

მოამზადა ეკა ირემაშვილი



მელანი ტრამპმა ბლოგერს ბოდიში მოახდინა

აშშ-ის მომავალმა პირველმა ლედი მელანი ტრამპმა იუთუბი-ბლოგერ ჯეიმს პანტერს მოსთხოვა, წაშალს ვიდეო, რომელშიც ის გამოთქვამს ვარაუდს, რომ მისი ათი წლის შვილი ბერონი აუტიზმითაა დაავადებული. ბლოგერმა პირობა დადო, რომ დაუყოვნებლივ შეასრულებს მის მოთხოვნას და ამის თაობაზე ვიდეორგოლისთვის გაკეთებულ კომენტარში დანერგა.

– მე დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ მელანი ტრამპი სასამართლოთი მემუქრება ამ ვიდეოს გამო და ჩემგან სახალხო ბოდიშის მოხდას მიითხოვს. გაოგნებული ვარ, ეს ვიდეო დასაცინად არ გაკეთებულა, – დაწერა თავის ერთ-ერთ პირველ კომენტარში პანტერმა. მასში მან ასევე განმარტა, რომ მას აუტიზმი სული წლის ასაკში გამოუვლინეს, ასე რომ, ის არასოდეს იკადრებდა ასეთ დიაგნოზზე დაცინვას. ბლოგერის თქმით, მას სურს, ადამიანები აღარ გააღიზიანოს ბერონის „უცნაურმა“ ქცევამ, რომელიც ამ ბოლო დროს საყოველთაო ყურადღების ცენტრშია მოქცეული.

– თუ მისი ტრამპს სურს, ვიდეო წაშალო, ამას გავაკეთებ. დიდ პატივს ვცემ მას და მის



ოჯახს. ვინმეს განწყობების სურვილი არასოდეს შექონია, – მოიბოდიშა პანტერმა. მელანი ტრამპის იურისტმა ჩარლზ ჯეი პარდერმა განაცხადა, რომ ბერონის აუტიზმით დაავადების მტკიცებას ქვეყნარტებისთან არაფერი აქვს საერთო და ბავშვი ჯანმრთელია. მან ასევე აღნიშნა, რომ აღნიშნული ვიდეო გამოქვეყნება შეურაცხყოფელი იყო.

ბრიტანელმა პრინცესამ ხელით მოშლია ელ შირანი დაჭრა

დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II-ის შვილიშვილმა ბეატრისმა შემთხვევით ხელით დაჭრა მუსიკოსი ედ შირანი, როდესაც ხუმრობით მომდერად ჯეიმს ბლანტის რაინდულ კუთხის ცერემონიას ატარებდა.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ წვეულების დროს მოხდა. თვითმხილველები ამტკიცებენ, რომ მას დაცემი კომენტარი ბლანტის გამოსახვადა, რომ წინააღმდეგი არ იქნებოდა, თუ რაინდულ აკურთხებდნენ. 28 წლის იორკის პრინცესა ბეატრისამ, მას განუცხადა, რომ ამის მონყოფა შესაძლებელი იყო და ასეთი ცერემონიისთვის განკუთვნილი ხმალი მოიტანა.

როდესაც მუსიკოსი პრინცესას წინ მუსზე დადგა, ბეატრისმა გაუფრთხილებლად აიჭნია ხმალი და ის სახეში



გაარტყა იქვე გვერდით მდგომ ედ შირანის ხმალი მას ლეკა თვალის სიახლოვეს გაუჭრა. გრემის ორი პრემიის მფლობელი საავადმყოფოში გადაიყვანეს და ქირილობაზე ნაკერები დაადეს. ოდნავ მოგვიანებით ის წვეულებაზე დაბრუნდა და გაართობა გააგრძელა. ამ შემთხვევის თაობაზე

ცნობილი მსოფლიო თვითმხილველთა ნათქვამით გახდა. არც ბუკინემის სასახლეს, არც თავად დაზარალებულ მუსიკოსს ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუშვეთებიათ.

სილაამზის კონკურსის მონაწილე ბურკინიში ჩასვული გამოვიდა

ამერიკის სილაამზის კონკურსის „მის მინესოტის“ მონაწილე, რომელიც მინესოტის შტატის ქალაქ ბერნსვილში ჩატარდა, ხიჯაბსა და ბურკინიში ჩასვული გამოვიდა.

19 წლის კონკურსანტი ხალიმა ადენი სომალია და კენიის სახელმწიფო მდებარე ლტოლვილთა ბანაკში დაიბადა. ის ჯერ კიდევ პატარა იყო, როდესაც მისი ოჯახი საცხოვრებლად აშშ-ში გადავიდა.

ხალიმა სცენაზე, კონკურსის სხვა მონაწილეთა მსგავსად, საცურაო კოსტიუმით კი არ გამოვიდა, არამედ ბურკინით, რომელიც წარმოადგენს საცურაო კოსტიუმს. იგი გოგონას მთელ სხეულს, მათ შორის ხელეხსა და ფეხებსაც ფარავს და მას ძირითადად მუსლიმანი ქალები იცვამენ. ასევე



გოგონას ხიჯაბი ებურა. დარბაზი მას ტაშით შეხვდა. – ეს შესანიშნავი ადგილია იმისთვის, რათა მთელ მსოფლიოს დავანახო, თუ ვინ ვარ, რას წარმოვადგენ, – განაცხადა გოგონამ ერთ-ერთი ადგილობრივი რადიოსადგურისთვის მიცემულ ინტერვიუში, – ის ფაქტი, რომ სილაამზის კონკურსებში არასოდეს უნახავთ გოგონა ბურკინიში, იმას არ ნიშნავს, რომ ამას ვერც მე გავაკეთებ.

ჩინელს ქარაა ფული გასტაცა

ჩინეთის პროვინცია ცზიანსუს ქალაქ იანჩენში, ქარმა ადგილობრივ მცხოვრებს ფული გასტაცა, რომელიც მას ბანკში მიჰქონდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

იან ცზიანსუ 30 ათასი იუანის ბანკში მიიტანა. როდესაც ის თავის ელექტრომოტორციკლს სადგომზე აჩერებდა, ქარმა დაუბერა და უყურად-

ღებოდ დაწყობილი კუბიურები ტროტუარზე მიმოფანტა.

ცზიანსუს ყვერილმა გამვლელთა და ბანკის თანამშრომლების ყურადღება მიიქცია. მიუხედავად წვიმისა, ისინი მაშაცაღს დაეხმარნენ მიმოფანტული კუბიურების შეგროვებაში. დათვლის მერე აღმოჩნდა, რომ ერთი კუბიურად კი არ იყო დაკარგული.

მოამზადა კანა ხატიაშვილი

სამგლოვიარო განცხადებები

მესტიის ა(ა)ი.პ. კულტურის სამსახურის თანამშრომლები, ზემო სვანეთის ფოლკლორული ანსამბლის „რიპოს“ წევრები და სოფელ ეცერის ფოლტურის სახლთან არსებული ფოლკლორული ანსამბლის „ქალთიდის“ წევრები ღრმა მწუხარებას გამოთქვამთ ანსამბლების წევრის, წამყვანი სოლისტის, კულტურის მოღვაწის



ბრისტან აკაკიანის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს. დაკრძალვა: 2 დეკემბერს 14 საათზე;

მისამართი: მესტიის რაიონი, სოფელი ეცერი.

თანაკლასელები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ საუკეთესო მეგობრის, უმნიშვნლო ადამიანის, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის

ვალტერ შურაიას

გარდაცვალების გამო.

ალეკო იშორია, ნუგზარ სიჭინავა, ჯანო ახალია, ვალტერ ითბიქე, ნუგზარ ბახილია, ზურაბ ვოგონია, ვია სიჭინავა, თამაზ შენგელია, ვახტანგ კირთაძე, თინა დარასელია, ლალი ჯიჭინაია, დოდო ბერაია, მზია წულუკიანი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა სამძიმარს უცხადებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის, ბატონ ანზორ ნოწონავას მეუღლის

ლონდა დარსანიას

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

Table with TV program listings including channel names, times, and program titles.

Table with TV program listings including channel names, times, and program titles.

Table with TV program listings including channel names, times, and program titles.

Table with TV program listings including channel names, times, and program titles.

Table with TV program listings including channel names, times, and program titles.

Table with TV program listings including channel names, times, and program titles.

Table with TV program listings including channel names, times, and program titles.

Table with TV program listings including channel names, times, and program titles.

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თარბა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhaliatoba

ქართული ლარის მიმართ უხსოვარი ვალუტების გახვლიტი კურსი

	აშშ დოლარი	— 2.5352		ევრო	— 2.698
	ინგლისური სტერლინგი	— 3.1495		100 რუსული რუბლი	— 3.9274



29 ნოემბრიდან საბავშვო ენციკლოპედია

ეს საბავშვო ენციკლოპედია თქვენი შვილის პირველი სერიოზული წიგნი გახდება სამყაროს შემეცნების გზაზე. ბავშვებისთვის გასაგები ენით გადმოცემულ და თემატურად დალაგებულ ყოვლისმომცველ ინფორმაციას თან ერთვის საუცხოო იუმორით შესრულებული ათასამდე ფერადი ილუსტრაცია.

ამ წიგნში ნახავთ პასუხებს თქვენი ცნობისმოყვარე შვილის თითქმის ყველა შეკითხვაზე.

ფასი გაზაფხულამდე 15 ლარი

იუმორი

ტელეფონი რეკავს, ყურმილი ხუთი შვილის მამამ აიღო და ახალგაზრდა მამაკაცის ხმა კითხულობს:

- შენ ხარ, ჩემო ფისო?
- არა, ზოოპარკის უფროსი ვარ!

... ..

ცოლი ქმარს ეუბნება:

- მე რომანი არავისთან მქონია და შენ შეგიძლია იგივე მითხრა?
- რომანი ნამდვილად არ მყოლია...

... ..

სომეხი კბილის ექიმთან მივიდა და ეკითხება:

- სიბრძნის კბილის ამოღება, რა ღირს?
- 80 ლარი.
- ძვირია, უფრო იაფად არ გამოვა?
- უნარკოზოდ, 60 ლარი ეღირება.
- მაინც ძვირია და კიდევ უფრო იაფად?
- ჩვეულებრივი „პლასკა-გუბტით“ 40 ლარი.
- და 20 ლარად არ გამოვა?
- უნარკოზოდ, ჩვეულებრივი „პლასკაგუბტით“ და თუ სტუდენტი-პრაქტიკანტი გააკეთებს, მაშინ 20 ლარადაც შეიძლება.
- ძალიან კარგი, ექიმო, მაშინ ხვალისთვის ჩემი ცოლი სუსანა ჩანერეთ...

... ..

ბიჭი გოგოს ეუბნება:

- პოეტი რომ ვიყო, ლექსს მოგიძღვნიდი, მხატვარი რომ ვიყო, შენ პორტრეტს დაგხატავდი, მაგრამ მე მხოლოდ ბეჯის ფაბრიკის დარაჯი ვარ და მხოლოდ სანოლი შემიძლია შემოგთავაზო.

... ..

დედა აივნიდან გადმოდგა და შვილს ეძახის:

- შვილო, სახლში ამოდი!
- რატომ, შემცივდა?
- არა, მოგვივდა!

მოამზადა კანა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

1 დეკემბრიდან ჯაშუშები და ჯაშუშობა

„ჯაშუშები და ჯაშუშობა“ სახალისო და შემეცნებითი წიგნია, რომელიც გაგაცნობთ სხვადასხვა ქვეყნის სადაზვერვო სამსახურებს, გიამბობთ ისტორიაში ყველაზე განთქმულ ჯაშუშთა ბიოგრაფიებს.

გაიგებთ, თუ როგორ იყენებენ ისეთ უცნაურ იარაღებს, როგორებიცაა: თოფი-პომადა, სხეულში რადიოჩამონტაჟებული ცოცხალი კატა.

შეიტყობთ ყველაზე გასამაურებელი სპეცოპერაციების შესახებ და გაეცნობით უამრავ საიდუმლო ინფორმაციას.

ფასი გაზაფხულამდე 10 ლარი

სერია „სამაგი“ წიგნი 25 ნოემბრიდან პირველად ქართულ ენაზე!

ყბები

პიტერ ბენჩლის ლეგენდარული ტრილერი

გაუმადლარი უზარმაზარი თეთრი ზვიგენი ემიტი აილენდის მცხოვრებლებს ატერორებს. ოკეანოლოგი, პოლიციის უფროსი და ზვიგენებზე მონადირე ამ სისხლისმსმელი არსების დასამარცხებლად იბრძვიან.

ფასი გაზაფხულამდე 14 ლარი

სერია „სამაგი“ აერთიანებს ტრილერის ჟანრის 13 რჩეულ ნაწარმოებს

გარეგ ბეილი აპრილამდე ვერ ითავაზებს

მადრიდის რეალის უელსელმა ვინგერმა გარეგ ბეილმა ტრავმა ლისაბონის სპორტინგთან მიიღო. თავდაპირველად საუბარი იყო იმაზე, რომ ბეილს მხოლოდ ერთი თვე გაუტყდებოდა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ბეილის ტრავმა გაცილებით სერიოზულია და გარეტი მოუდანს მხოლოდ აპრილში დაუბრუნდება.

ეს დიდი დანაკლისია რეალისთვის, რადგან ბეილი სამეფო გუნდის ერთ-ერთი ლიდერია და რეალს მოუწევს მის გარეშე თამაშისთვის მიჩვევა.

ბეილი რეალში 2013 წელს სარეკორდო სატრანსფერო თანხით, 100 მილიონი ევროთი გადავიდა, მანამდე კი ის ტოტენჰემის ლირსებას იცავდა.

ჟოზე მოურინიოს ფულადი ჯარიმა დააკისრეს

მანჩესტერ იუნაიტედის პორტუგალიელი მწვრთნელი ჟოზე მოურინიოს ვესტ ჰემთან შეხვედრის დროს მთავარმა არბიტრმა ჯონ მოსმა გადაიჭვა და ჟოზეს მატჩისთვის ცქერა ტრიბუნიდან მოუხდა.

ამ ინციდენტის გამო ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ მოურინიოს ფულადი ჯარიმა დააკისრა 16 ათასი ფუნტი სტერლინგის ოდენობით.

ალსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ჟოზეს ტრიბუნიდან უნეს თამაშების ყურება. ის ბარნოსთან შეხვედრისას ასევე გადაიჭვეს და ჯარიმის სახით 8 ათასი ფუნტი სტერლინგი დააკისრეს.

ჰარი კეინმა ტოტენჰემთან ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი

ტოტენჰემის ერთ-ერთმა ლიდერმა ჰარი კეინმა გუნდთან ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომლის მიხედვითაც, ის ტოტენჰემის ლირსებას 2022 წლის ჩათვლით დაიცავს. კეინმა განაცხადა, რომ მისთვის დიდი პატივია ტოტენჰემში თამაში და გუნდთან ერთად ბევრი ტიტულის მოგებას აპირებს.

კეინი უკვე დიდი ხანია, ტოტენჰემის ლირსებას იცავს და ის გუნდის მთავარი გოლეადორია, მიუხედავად იმისა, რომ მას წლევედელი სეზონის დასაწყისში ხანგრძლივი ტრავმა აწუხებდა, რის გამოც მან თვეზე მეტი გამოტოვა. კეინის ანგარიშზე წლევედელ სეზონში 10 ჩატარებულ შეხვედრაში 6 გატანილი გოლია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

სერია „სამაგი“ წიგნი 2 დეკემბრიდან თომას ჰარისი კრაპთა ღუილი

ფასი გაზაფხულამდე 14 ლარი

სერია „სამაგი“ აერთიანებს ტრილერის ჟანრის 13 რჩეულ ნაწარმოებს

ხოსვოხი ა

შევუღად: 1. ფარული შესაძლებლობა, უნარი; 2. შოკოლადის მწარმოებელი ამერიკელი ფირმა; 3. გემის, თვითმფრინავის ოფიცინტი; 4. წყალი მყარ მდგომარეობაში; 7. ჯეიმს ჯოსის რომანი; 9. უმარტივესი, ერთუჯრედიანი მიკროსკოპული ცხოველი; 12. მათემატიკის ნაწილი; 14. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 15. ზღვისპირა კურორტი სამეგრელოში; 17. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 20. დიპლომატიური წარმომადგენელი.

თარაზულად: 5. ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 6. შავი ზღვის ზვიგენი; 8. პიდროტენიკური ნაგებობა მდინარეზე; 10. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 11. ალბინისტი; 13. ყურის ექიმი; 16. ტბა უნგრეთში; 18. ფართოდ გავრცელებული, მარადმწვანე ტროპიკული მცენარე; 19. ესპანური სპორტული გაზეთი; 21. ქართველი თეატრალური რეჟისორი; 22. ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 23. იაპონური თოჯინური თეატრი.

შეადგინა თ.კობალეიშვილმა